შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

DAAD

Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

# სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli - DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი

**20.02.2018**

# საგრანტო კონკურსის მიზნები




ახალგაზრდა მეცნიერებისა და დოქტორანტების ხელშეწყობა:

- სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;
- სამეცნიერო ქსელის შექმნაში, საუკეთესო სამეცნიერო პრაქტიკის საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
- თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

# საგრანტო კონკურსის ზოგადი დებულებები

კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს:

- ახალგაზრდა მეცნიერების გერმანიის უსდ-ში/კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
- დოქტორანტების გერმანიის უსდ-ში/კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას;
- ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების გერმანიის უსდ-ში/კვლევით ინსტიტუტებში სტაჟირებას.



**კონკურსი ფინანსდება საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და DAAD-ი ერთობლივად.**

# სამეცნიერო მიმართულებები

## DAAD-ის კლასიფიკატორი:

1. ენები და კულტურის კვლევები
2. სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები
3. მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
4. მედიცინა
5. ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები
6. ინჟინერია
7. ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები

# საგრანტო კონკურსის ეტაპები

1. ფონდის მიერ ერთობლივი კონკურსის გამოცხადება DAAD-თან შეთანხმებით
2. საკონკურსო განაცხადების წარდგენა DAAD-ში
3. DAAD-ის მიერ შედგენილი კომისიის მიერ პროექტის შეფასება
4. ფონდისა და DAAD-ის მიერ გამარჯვებული პროექტების ერთობლივად გამოვლენა
5. საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება

# მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

| სუბიექტები: | პროექტის ხანგრძლივობა: | დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა: |
|---|---|---|
| ახალგაზრდა მეცნიერები (ხარისხის მინიჭების დღიდან გასულია მაქს. 12 წელი) | 4-6 თვე | მაქს. 15 |
| დოქტორანტები | 3 თვე | მაქს. 9 |
| ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტები | 6 თვე | მაქს. 6 |



www.rustaveli.org.ge ©

# წარმოსადგენი დოკუმენტაცია (1/4)

- DAAD-ის ელ. ბაზაში ასატვირთი დოკუმენტები:



ახალგაზრდა მეცნიერთათვის:

1. საკონკურსო განაცხადის ფორმა;
2. CV (მაქს. 3 გვერდი);
3. პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქს. 3 გვერდი);
4. კვლევითი პროექტი (მაქს. 4 გვერდი);
5. გეგმა-გრაფიკი;
6. ახალგაზრდა მეცნიერის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
7. ახალგაზრდა მეცნიერის საქართველოს უსდ-ში საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8. მასპინძელი მხარის თანხმობის წერილი;

# წარმოსადგენი დოკუმენტაცია (2/4)

დოქტორანტებისთვის:



1. საკონკურსო განაცხადის ფორმა;
2. CV (მაქს. 3 გვერდი);
3. პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქს. 3 გვერდი);
4. კვლევითი პროექტი (მაქს. 4 გვერდი);
5. გეგმა-გრაფიკი;
6. დოქტორატის ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, აკადემიური მოსწრების მითითებით;
7. დოქტორანტის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8. მასპინძელი მხარის წარმომადგენელის თანხმობის წერილი;
9. სარეკომენდაციო წერილი, გაცემული უსდ-ის აკადემიური პერსონალის ან მოწვეული ლექტორის მიერ (უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში);

# წარმოსადგენი დოკუმენტაცია (3/4)

**ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისათვის:**

1. საააპლიკაციო ფორმა;
2. CV  (მაქს. 3 გვერდი);
3. პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქს. 3 გვერდი);
4. კვლევითი პროექტი ხელმოწერილი ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ (მაქს. 4 გვერდი);
5. გეგმა-გრაფიკი ხელმოწერილი ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ;
6. დოქტორატის ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, აკადემიური მოსწრების მითითებით;
7. დოქტორანტის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8. თანახელმძღვანელის თანხმობის წერილი;
9. სარეკომენდაციო წერილი, გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის ან მოწვეული ლექტორის მიერ (უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში);

# წარმოსადგენი დოკუმენტაცია (4/4)

- ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტები (ქართულ ენაზე):

  1. კვლევითი პროექტი;
  2. პროექტის ბიუჯეტი;
  3. განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

- ყველა ქართული დოკუმენტი უნდა იყოს თარგმნილი და დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ გერმანულ ან ინგლისურ ენაზე.

- DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან დაგენერირებული პროექტი და სარეკომენდაციო წერილი უნდა ჩაბარდეს DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში 2-2 ეგზემპლიარად;

- სტაჟირება უნდა განხორციელდეს 15 მაისიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში.

# განაცხადების რეგისტრაციის წესი

1. დოკუმენტების ატვირთვა და პროექტის ელ. რეგისტრაცია DAAD-ის ელ. ბაზაში - 19.03.2018;
2. DAAD-ის ელექტრონული ბაზიდან დაგენერირებული პროექტის და სარეკომენდაციო წერილის წარდგენა DAAD-ის საინფორმაციო ცენტრის თბილისის ოფისში 2-2 ეგზემპლიარად - 20.03.2018;
3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების, კვლევითი პროექტის და პროექტის ქართული ბიუჯეტის წარდგენა უნდა მოხდეს ფონდის კანცელარიაში 21 მარტის 16:00 სთ - მდე;
4. ფონდის კანცელარიაში წარსადგენი განცხადება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით/ხელმოწერებით.



# პროექტის ბიუჯეტი

## მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

1. **ყოველთვიურ სტიპენდიას**

- YS – 2000 ევრო
- დოქტორანტებისთვის – 1000 ევრო
- ერთობ. სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისთვის - 1000 ევრო

2. **მგზავრობის ხარჯებს** - 575 ევრო

3. **დოქტორანტების და ერთობ. სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების დაზღვევა** - 80 ევრო

4. **ერთობ. სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელების მგზავრობა** - 637.5 ევრო

# საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

მონიტორინგი ხორციელდება DAAD-ის მიერ

- **ფინანსური მონიტორინგი** - ხარჯვის შესაბამისობის დადგენა ხარჯთაღრიცხვასთან.

- **პროგრამული მონიტორინგი** - ხორციელდება გერმანიის უსდ-ის ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე გრანტის მიმღების მიერ გავლილი სტაჟირების შესახებ.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

DAAD
Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

# გმადლობთ ყურადღებისთვის!

# www.rustaveli.org.ge